თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

**შემცირებული გაკვეთილები და ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა – 2018-19 სასწავლო წლის ცვლილებები**

მე-2 გვერდზე

**2017 წლის 21 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის თვითმმართველი თემის მერის არჩევნები გაიმართება**

მე-3 გვერდზე

№13 (775) 9 - 15 ოქტომბერი, 2017 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

# ორი რამ, რაც პარტიების დაპირებებიდან ქუთაისელებს ახსოვთ

**„არ მახსოვს, როდესმე პარტიის პროგრამა წამეკითხოს, არჩევანს ყოველთვის ჩემი დამოკიდებულებით ვაკეთებ, ზოგადი წარმოდგენები რაც მაქვს. ეს პროგრამები ფარატინა ფურცლებია და სხვა არაფერი. იმიტომ, რომ არა მგონია, რომელიმე პარტიას ღრმა კვლევა ჩაეტარებინოს, რეალურად რა საჭიროებები აქვს რომელიმე ქალაქს, არც პრობლემის გადაჭრის გზებზე ემუშაოთ. უბრალოდ, პროგრამებით ისინი ეჭიდავებიან ერთმანეთს. არჩევნების შემდეგ ყოველთვის სხვა რეალობაა, თვითონ პარტიებიც აღარ კითხულობენ ამ პროგრამებს,“ – ამბობს სოფია ონიანი. რომელიც 21 ოქტომბერს არჩევანს ვის სასარგებლოდ გააკეთებს, ჯერ არი იცის. არ იცის, რა განაპირობებს მის არჩევანს, თუმცა, შინ დარჩენას მაინც არ აპირებს.**

ქუთაისის მერობისთვის ათი სხვადასახვა პარტისაა თუ საარჩევნო ბლოკის კანდიდატი იბრძოლებს. ყველა მათგანის საარჩევნო პროგრამას ერთი მთავარი საერთო აქვთ, ყველანი ცალ-ცალკე სხვადასხვა სიტყვებით ერთიდაიმავეს ამობენ: – ჩემი მერად მოსვლის შემთხვევაში, ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა მოგვარდება.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემები ყველაზე უკეთ ქუთაისელებმა იციან, თუმცა ამ პრობლემებს საარჩევნო პროგრამებში არ ეძებენ. ისინი პარტიების საარჩევნო პროგრამებს თითქმის არ იცნობენ, იცნობენ კანდიდატებს – ყველას არა, მხოლოდ ფრაგმენტულად, ან უბრალოდ „იციან“, რა ნომერი უნდა შემოხაზონ. ამ „შემოხაზვის“ ან გადახაზვის უკან, ან ნიჰილიზმია, ან – ნაცნობ–მეგობრობა, ან „ხათრი-რიდი“, ან უამრავი ან... სამწუხაროდ, იშვიათია გააზრებული და გაცნობიერებული არჩევანი. არჩევანი, რომელიც საარჩევნო პროგრამის სიმპათიით კეთდება.

პარტიების შეთავაზებებს და კანდიდატებს ძირითადად ტელევიზიით იცნობენ, თუმცა უფრო კარგად თბილისის კანდიდატებს, ვიდრე – ადგილობრივებს.

რაც შეეხება პარტიული პროგრამებიდან, ქუთაისელებს ყველაზე მეტად ორ ძირითადი საკითხი ახსოვთ – ქალაქის სტატუსი და 24-საათიანი წყალმომარაგება.

მომავლის ქალაქი, ევროპული ქალაქი, საგანამანათლებლო ცენტრი – ეს ქუთაისის სამომავლო პერსპექტივებია, რომლებიც პარტიათა პროგრამებშია წარმოდგენილი.

არის თუ არა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქალაქის სტატუსი თავად ქუთაისელებისთვის?

„რა თქმა უნდა, არის, ჩვენთვის კი არა, ქალაქისთვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომ რამე სტატუსი, ფუნქცია ჰქონდეს, უფუნქციოდ დარჩენილი ან ფაქტობრივად ფუნქციური ქალაქი ვერ იცოცხლებს. მაგრამ არ მგონია, ეს საკითხი მერის კომპეტენცია იყოს. რა ვიცი, შეიძლება ვცდები. “ – ამბობს ლია ციბაძე.

„კარგ ქალაქში უნდა ვიცხოვროთ, ცალკე ვერც ქუთაისი განვითარდება და ვერც – ფოთი, საქართველო უნდა განვითარდეს და მოგვარდეს ყველა ქალაქში არსებული საერთო პრობლემები. ყველა არჩევნებზე მოქალქეებს ძირითადად სოციალური მოთხოვნები აქვთ, სამუშაო ადგილები, პენსიები. შეხვედრებზე კი გვპირდებიან ასე ვიზამთ, ისე ვიზამთო, მაგრამ მერე ყველაფერი ავიწყდებათ.“ – გვითხრა ციალა ბარამიძემ.

ირმა ჩიხლაძის აზრით, „ქალაქის სტატუსი მნიშვნელოვანია, ამაზეა დამოკიდებული ქალაქის განვითარება, გრძელვადიანი პერსპექტივა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთჯერადი სოციალური პროგრამები, რომელიც იქნება და მერე აღარ იქნება.“

კიდევ ერთი საკითხი, რაც პარტათა საარჩევნო პროგრამაში აქტუალურია, ქუთაისის 24-საათიანი წყალმომარაგებაა. საარჩევნო სლოგანი „24 საათიანი წყალი ქუთაისს“ – 10 წელზე მეტია, ცოცხლობს და აქტუალობას არ კარგავს.

„24 -საათიან წყალს გვპირდებიან რაც თავი მახსოვს, ნაცებიც ამას გვპირდებოდნენ და ესენიც, სხვა პარტიებიც. რა გახდა ეს წყალი ამ ქუთაისისთვის. სირცხვილია, 21-ე საუკუნეში წყალი გექნებათო, იმას რომ გვამადლიან“ – ამბობს ალექსანდრე ალფაიძე.

**მაკა ჩინჯიშვილი**

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამეტი“ ფარგლებში.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

# როგორ აფასებენ საარჩევნო გარემოს ოპოზიციური პარტიები ქუთაისში

**21 ოქტომბრამდე, სულ უფრო ცოტა დრო რჩება, ქუთაისი წინასაარჩევნოდ, როგორც ყოველთვის, მშვიდია. თუმცა, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელები ამობობენ, რომ საარჩევნო გარემო ისე, როგორც მთელ საქართველოში, უსამართლო და არათანაწორია.**

„ცუდი გარემოა, ეს ჩანს ყველაფერში – ბანერებში, პალაკატებში, სატელევიზიო ეთერში – არათანაბარ გარემოს არათანაბარი ფულადი რესურსები განსაზღვრავს, კონკრეტული ფაქტების დასახელება ამჟამად არ შემიძლია, თუმცა, მაშინ, როცა მერიის თანამშრომელთა უმეტესობა შვებულებაშია, რა თქმა უნდა, ეს არის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. კი, კანონით აქვთ ამის უფლება, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით სიმართლე? კონკრეტული ფაქტების გამოვლენას, რომელი ბაღის თანამშრომელი რომელ შეხვედრას ესწრება, დამატებითი ადამიანური და ფულადი რესურსი სჭირდება. ჩვენ ამის საშუალება არა გვაქვს, აი, ნაციონალურ მოძრაობას კი შეუძლია ეგ მარა, არ აკეთებს, ალბათ არ აწყობთ და იმიტომ“ – აცხადებს **გოგი წულაია,** „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახაკუკავა, დემოკრატიული მოძრაობა თავისუფალი საქართველო"-ს მერობის კანდიდატი.

ნაციონალური მოძრაობა უთანასწორობის მიზეზად, პირველ რიგში, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების არჩევას ასახელებს. პარტიის ქუთაისის ოფისიდან გიგა შუშანია ამბობს, რომ საუბნო კომისიებში სრული უმრავლესობა მათ აქვთ, ხელს საოლქო საარჩევნო კომისიებისკენ იშვერს და ამბობს, რომ ეს წევრები გამჭირვალედ და დემოკრატიულად არ შერჩეულა და ისინი ოცნების მხარდამჭერები არიან, „რაც არ უნდა ოქმის ასლები წამოვიღოთ პარტიის წარმომადგენელებმა, მეორე დღეს შეიძლება 7 წევრის ხელმოწერით მივიღოთ სრულიად სხვა ოქმი, სხვა ჩანაწერებით და მათ ოქმებს ექნება ძალა. და ეს, რა თქმა უნდა, აისახება საბოლოო შედეგებზე. ამის გარდა, „ქართული ოცნება“ წარმატებით იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს“ – აცხადებს **გიგა შუშანია**.

ადმისიტრაციული რესურსის გამოყენებასა და საარჩევნო უბნების დაკომპლექტებას ასახელებს დარღვევად „ევროპული საქართველო“.

„სამწუხაროდ, სახელებს და გვარებს ვერ დავასახელებ, იმიტომ, რომ ამ ადამიანების წინაშე მორალური ვალდებულებები მაკისრია, მაგრამ თანასწორ საარჩევნო გარემოზე საუბარი არის ზედმეტი. საუბნო საარჩევნო წევრების სია მმართველი პარტიის ოფისში დაიწერა. ამის გარდა „ოცნება“ იყენებს საბიუჯეტო სახსრებს, ისინი თავიათი სურვილების მიხედვით გასცემენ ერთჯერად დახმარებებს, რაც ხმარდება ხელისუფლების საარჩევნო მიზნებს.

**გაგრძელება მე-2 გვერდზე**

PS news.ge
ISSN 1987-7056
9 771987 705004

## რთველის საკოორდინაციო შტაბი ამბროლაურში გაიხსნა

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში რთველის დაწყებასთან დაკავშირებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რთველის საკოორდინაციო შტაბი გაიხსნა.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დღეისთვის გახსნილია 6 მიმღები პუნქტი. 12 კომპანია უკვე რაჭაშია და მზად არის გადაამუშაოს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის ყურძნის მოსავალი.

ჯიშობრივი სიზუსტის დაცვის მიზნით, რთველის პროცესში ჩართულები არიან ამპელოგრაფები.

წინასწარი მონაცემებით, წელს რაჭაში 700-800 ტონამდე მუჯურეთულის და ალექსანდროულის მოსავალი გადამუშავდება.

დაცული ადგილწარმოშობის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, „ხვანჭკარის“ ჯიშებზე ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე 1კგ-ზე სუბსიდია გაიცემა 2 ლარი;

ამასთან ერთად, რთველი გრძელდება კახეთის რეგიონში. 9 ოქტომბრის 12.00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 111,5 ათასამდე ტონა ყურძენი. მევენახეების შემოსავლებმართველის დაწყებიდან დღემდე 130 მლნ ლარს მიაღწია.

რთველთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელი ხაზზე - 1501 და ღვინის ეროვნულსააგენტოს ვებ-გვერდებზე: http://georgianwine.gov.ge და http://rtveli2017.gov.ge.

# როგორ აფასებენ საარჩევნო გარემოს ოპოზიციური პარტიები ქუთაისში

გიგა შუშანია

გია თევდორაძე

ალუდა გოგლიჩიძე

გრიგოლ ბახტაძე

**პირველი გვერდიდან**

კახიანაურში ჩვენი პარტიის წევრებს შეექმნათ პრობლემები, მათ ოჯახის წევრებს დაემუქრნენ სამსახურიდან გათავისუფლებით. მართალია, ჯერჯერობით ძალოვანი სტრუქტურები არ ჩართულან არჩევნებში, მაგრამ ხელისუფლება ყველა გზით ცდილობს, გადაფაროს დაბალი რეიტინგი და ყველა მეთოდის გამოყენებით მიიღოს სასურველი შედეგი.“ – განაცხადა **გია თევდორაძემ**.

„შენების მოძრაობის“ ქუთაისის მერის კანდიდატი ალუდა გოგლიჩიძე ამბობს, რომ ვიზუალურად ჩანს, რომ წინასაარჩევნო კამპანია მშვიდ ვითარებაში მიდის, თუმცა, ხელისუფლება ვერ გაურბის ადმინისტრაციულ ცდუნებას. ვიცეპრემიერი ალექსანდრე ჯეჯელავა შანტაჟით არის დაკავებული. 2017 წლის 25 სექტემბერს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „სასწავლო დაწესებულებებში სველი წერტილების მონიტორინგის გამაკცრების შედეგად ათობით დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი დადგა“. სამწუხაროა, რომ მინისტრი იმის ნაცვლად, რომ ებრძოლოს პრობლემებს, „ბოლშევიკური“ სულისკვეთებით ებრძვის ადამიანებს. ბრიფინგის ფარგლებში გამოთქმული არგუმენტების მიუხედავად, ბ-ნი ჯეჯელავა აცხადებს, რომ კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს ე.წ. მონიტორინგს, ანუ კიდევ უფრო მეტ დირექტორს გაათავისუფლებს თანამდებობიდან, რაც წინასაარჩევნო პერიოდში განათლების სფეროში დასაქმებულთა დათრგუნვას და დაშინებას უფრო ემსახურება, ვიდრე პრობლემების მოგვარებას. და ეს დაშინება არის არჩევნებზე ზეწოლა“ – აცხადებს **ალუდა გოგლიჩიძე**.

„პატრიოტთა ალიანსის“ ქუთაისი მერობის კანდიდატი გია ბახტაძე ამბობს, რომ როგორი გაუკუღმართებულიც იყო საარჩევნო გარემო წინა წელს, ასეა დღესაც. „თუ ადრე ხდებოდა კარუსელები, დღეს პირდაპირ ფულადი გარიგება ხდება, ამომრჩეველს ფულს უხდიან. ჩვენი ამორჩეველი ის ხალხია, ვისაც ქართველობა შერჩა და ფულზე არ იყიდება“ – ამობობს **გია ბახტაძე.**

გასულ კვირაში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიში მოიცავს 2017 წლის 5-დან 25 სექტემბრის ჩათვლით პერიოდს. ანგარიშში ქუთაისის მოხლოდ ორი ქეისია განხილული, ერთ-ერთი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად მერიის თანამშრომლის მიერ სამუშაოს საათებში ფეისბუქზე მხარდამჭერი ბანერების გავრცელებას მოიცავს, ხოლო მეორე ფაქტი ამომრჩევლთა სავარაუდო მოსყიდვას, ნაციონალური მოძრაობის წევრმა ნიკა ნარსიამ გაავრცელა ვიდეო კადრები, სადაც ოცნების კანიდიდატი კახა ბოჭორიშვილი ერთ ერთი შეხვედრაზე სიებს ითხოვს, რომლებსაც დასამქების მიმართულებით დახმარებას აღმოუჩენს. ნარსია საჩივარიც შეიტანა, თუმცა, კომისიის გადაწყვეტილებით ის არ განუხილიათ.

**მაკა ჩინიჯიშვილი**
მედიასახლი P.S.
(„პოსტსკრიპტუმი“)

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამეტი“ ფარგლებში.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

# შემცირებული გაკვეთილები და ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა - 2018-19 სასწავლო წლის ცვლილებები

მალე მოსწავლეებს სკოლაში ნაკლები გაკვეთილი, დიფერენცირებული სწავლება, ახალი სასწავლო გეგმა, საგნები და სახელმძღვანელოები ელით. განათლების სამინისტროს **ეროვნული სასწავლოგეგმების სამმართველოს უფროსი მარიამ ჩიქობავა** EDU.ARIS.GE-სთან ინტერვიუში ეროვნულ სასწავლო გეგმაში დაგეგმილ ცვლილებებზე დეტალურად საუბრობს და ამბობს, რომ მის დასახვეწად მრავალმხრივი სამუშაო მიმდინარეობს.

მისი თქმით, ისინი ჯერ მოსწავლეების კომფორტზე ზრუნავენ და შემდეგ მასწავლებლების.

**მარიამ ჩიქობავა:** მოგეხსენებათ, თავისუფალი გაკვეთილები 2017 წლიდან დაიწყო. ამაში 1000 სკოლამდე ჩაერთო. სხვადასხვა მიმართულებაა -წიგნიერების, სახელოვნებო და ჯანსაღი ცხოვრების განვითარების. ეს გაკვეთილები ჩატარდა. აქცენტი მცირე კონტიგენტიან სკოლებზე გაკეთდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თავისუფალი გაკვეთილების ფორმატი ახალი სასწავლო წლიდანაც გრძელდება.

ეს, პრინციპში, არაფორმალური განათლების ნაწილია. მოსწავლეები ამ გაკვეთილებს საკუთარი სურვილით ესწრებიან. თუმცა, არაფორმალური განათლება, ფორმალურ განათლებასთან ერთად ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება და ერთმანეთს ავსებს. ამდენად, ეს ყველაფერი ძალიან კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ განათლების მიღება მოხდეს სახალისო და მამოტივირებელი მეთოდებით.

**– მე-10 მე-12 კლასებში მოსწავლეთა შეფასების ცვლილება იგეგმება. რა კონკრეტული დეტალებია ცნობილი?**

**მ.ჩ:** წელს არაფერია დაგეგმილი. 2018 წლიდან საშუალო საფეხურის სტანდარტების გადამუშავებას დავიწყებთ. მერე შევხედავთ შეფასების სისტემასაც, თუკი გადამუშავებამ შეფასების სისტემის ცვლილება მოითხოვა, რა თქმა უნდა, ისიც შეიცვლება.

**– სტანდარტების გადამუშავება სექტემბრიდან უნდა დაწყებულიყო. რა ეტაპზე ხართ ახლა?**

**მ.ჩ:** ახლა კონცეფციაზე ვმუშაობთ. 2018 წლიდან კი საგნობრივი სასწავლო პროგრამების გადამუშავებაზე დავიწყებთ მუშაობას.

**–უფრო კონკრეტულად რომ ავუხსნათ მკითხველს, რას გულისხმობს გადამუშავება და რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ შედეგად?**

**მ.ჩ:** ყველაზე მთავარი ცვლილება დიფერენცირებული სწავლებაა. ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მიმართულებების გაყოფა, რათა მოსწავლეებმა საკუთარი ინტერესების მიხედვით შეძლონ შესაბამისი მიმართულების არჩევა. ეს, რა თქმა უნდა, რომელიმე საგნის ამოღებასა და გამორიცხვას არ ნიშნავს. საბაზისო უნარებს, რაც მაგალითად მათემატიკაშია საჭირო, ჰუმანიტარულ მიმართულებაზე მყოფი მოსწავლეც ისწავლის. როცა საგნობრივ პროგრამებზე დავიწყებთ მუშაობას, უფრო დეტალურად გამოჩნდება რომელ საგნობრივ ჯგუფში რა და როგორ შეიცვლება და როგორ შევთავაზებთ სკოლებს.

**– სკოლას ექნება არჩევანის გაკეთების საშუალება თუ დიფერენცირებული სწავლება ყველგან დაინერგება?**

**მ.ჩ:** შევხედავთ დანერგვა როგორ წავა. რა გამოწვევებს შეიძლება წავაწყდეთ. შესაძლოა თავდაპირველად ეს ყველა სკოლისათვის არ იყოს. როცა სამინისტრო რაღაც მოთხოვნას აყენებს, სკოლების მზაობა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. საგნობრივი პროგრამების შემდეგ გვექნება დანერგვის გეგმაც – როგორ დაინერგება იგი, ეტაპობრივად თუ ყველა სკოლაში და ა.შ. ამას უკვე პროგრამების დადების შემდეგ შევხედავთ.

**–საბაზო საფეხურის გეგმის რევიზიაზე რა სიახლეები გვაქვს?**

**მ.ჩ:** საბაზო საფეხურის სტანდარტების შემუშავება უკვე დასრულდა. ახლა განხილვები დავიწყეთ მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, სკოლებში დავაგვაზვნით კომენტარების მოსაწოდებლად, ასევე დაინტერესებულ ორგანიზაციებთან. მოკლედ, თითოეულ დაინტერესებულ პირს ექნება საშუალება განხილვებში ჩაერთოს. 2017 წლის ბოლოს, ან 2018 წლის დასაწყისში უკვე დამტკიცდება. გააჩნია რამდენ დროს მოითხოვს განხილვები.

**–რა არის განხილვის მიზანი, რამდენადაა შესაძლებელი, რომ მათი აზრი და შეხედულებები სტანდარტებში აისახოს?**

**მ.ჩ:** ეს განხილვა განხილვისათვის არაა. აბსოლუტურად ყველა საგანს გავივლით. თუკი არგუმენტირებული შენიშვნები იქნება, აუცილებლად ავსახავთ და გავითვალისწინებთ. ეს მარტივი პროცესი არაა. 2 100 სკოლაში უნდა დავაგზავნოთ, მათგან უკუკავშირი მოვიდეს, დავამუშავოთ, მერე ისევ პირისპირ განხილვები გვექნება აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან. როგორც კი ყველა არგუმენტირებული შენიშვნა და საინტერესო მოსაზრება აისახება, ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურიც დამტკიცდება.

**–გეგმაში არსებულ ხარვეზებზე მუდმივადაა საუბარი. ის ყველაფერი, რაზეც ახლა თქვენ ისაუბრეთ, მოახდენს თუ არა მასზე რეალურ ცვლილებას და „გააკეთილშობილებს“ თუ არა მას?**

**მ.ჩ:** პირველ რიგში ძალიან გვინდა, რომ სასწავლო პრობრამები მაქსიმალურად განვტვირთოთ და უფრო მეტი დატვირთვა საშუალო საფეხურზე იყოს, როცა სწავლება უკვე დიფერენცირებულად წავა. ამიტომ, მაქსიმალურად ვცდილობთ ყველა საგნიდან გარკვეული თემებისა და საკითხების ზედა საფეხურზე გადატანას. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ავცდებით იმ საერთაშორისო დონეს, რომელსაც განვითარებული ქვეყნები მიჰყვებიან, რადგან საერთაშირისო შეფასებებში ვმონაწილეობთ. ამიტომ, ეს სასწავლო შინაარსის გაპრიმიტიულება არ იქნება. თუმცა, რამდენადაც განტვირთვა შესაძლებელი იქნება, აუცილებლად განვტვირთავთ.

ვფიქრობთ, რომ სამოქალაქო განათლება, რომელიც საბაზო საფეხურზე მხოლოდ მე-9 კლასში ისწავლება, მე-7 და მე-8 კლასებშიც შემოვიტანოთ. ქვეყანას გარკვეული ვალდებულებები აქვს აღებული, სახელმწუიფოს თავისი პრიორიტეტები აქვს და ამ პრიოიტეტების განსახორციელბლად საჭიროა ეს ყველაფერი ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც აისახოს. შესაბამისად, სამოქალაქო განათლების გაძლიერება გვინდა.

**–გაკვეთილების შემცირებას გეგმის დახვეწის პროცესში, როგორც ვხედები, მნიშვნელოვან როლს ანიჭებთ..**

**მ.ჩ:** ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 7-8 გაკვეთილი არ იყოს. სასწავლო პროგრამა რომ განტვირთება, რომელიმე საგანს საათიც შეიძლება მოაკლდეს. თავად ბავშვებისათვის ყოველდღიურად ამდენი გაკვეთილი ძალიან ძნელია. მაგალითად, მე-9 კლასში 33 საათიანი დატვირთვაა. ეს იმას ნიშნავს, რომ კვირაში სამჯერ 7 გაკვეთილი უტარდებათ. არაქართულენოვან სკოლებში კიდევ მშობლიური ენის 5 საათი ემატებათ. ასე რომ, ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია. ჩვენ, პირველ რიგში, მოსწავლის საჭიროებიდან ამოვდივართ. მხოლოდ ამის შემდეგ დგება მასწავლებლის საჭიროებები. მთავარი მოსწავლის ინტერესებია.

**– საგანი „მე და საზოაგდოება“ როდიდან შევა სკოლაში სრული დატვირთვით და რა შეიცვალა საგნის „თავდაცვა და უსაგფრთხოება“ სწავლების მიმართულებით?**

მ.ჩ: „თავდაცვა და უსაფრთხოება“ მე-4, მე-8 და მე-12 კლასებში ახლაც ისწავლება. უბრალოდ, მე-4 კლასში „ თავდაცვა და უსაფრთხოება“ “ მე და საზოაგდოებაში“ ინტეგრირდა. არა მხოლოდ მე-4 არამედ მე-3 კლასში შედის გარკვეული კომპონენტები.

რაც შეეხება მე-8 კლასს, აქ უკვე სამოქალაქი განათლებაში შევა. შესაბამისად, სამოქალაქო თავდაცვის ელემენტები მე-7 კლასშიც იქნება, მე-8-შიც და მე-9-შიც. საშუალო საფეხურზე ასეთი საგანი გვაქვს – „ სამხედრო ისტორია და ეროვნული თავდაცვა“ და ამ საგნის რევიზიაზე თავდაცვის სამინისტროსთან ერთად ვმუშაობთ. სახელმძღვანელო მზადდება და მოსწავლეებს განახლებულ სახეს შევთავაზებთ.

**რაც შეეხება „მე და საზოგადოებას“?**

**მ.ჩ:** სახელმძღვანელოზე მუშაობა დაწყებულია. მოგეხსენებათ, 1-6 კლასები დამტკიცებულია და სახლემძღვანელოების კონკურსი ყველა საგნისათვის გამოცხადებულია და მათ შორის „მე და საზოაგდოებისთვისაც“ საავტორო ჯგუფები უკვე მუშაობენ. რამდენიმე თვის განმავლობაში ყველა საგანში კონსულტაციები ჩავატარეთ და ოქტომბერში განაცხადების მიღება ოფიციალურად დაიწყება. ვნახოთ რამდენი საავტორო ჯგუფი წარმოადგენს.

სხვათაშორის, სახელმძღვანელოების ტექტსები საჯარო იქნება. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება ნახოს და საავტორო ჯგუფებსა და სამინისტროს უკუკავშირი მისცეს. ტექტსებს შორის საუკეთესო შეირჩევა, რომლებიც მოსწავლეებთან მოხვდება. მომდევნო წლიდან ყველა სკოლაში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა შევა ახალი სახელმძღვანელოებით.

**„ეს არის ყველაზე დიდი ცვლილება ეროვნულ სასწავლო გეგმაში“ – როდის დაინერგება სკოლებში ახალი ესგ**

მოამზადა თაკო მათეშვილმა
edu.aris.ge

# 2017 წლის 21 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები გაიმართება

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

## ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

**კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე მისვლისას თქვენ გადმოგეცემათ საარჩევნო ბიულეტენები:**

- საკრებულოს პროპორციული არჩევნებისთვის (პარტიების, ბლოკების ჩამონათვალი)
- საკრებულოს მაჟორიტარული არჩევნებისთვის (მაჟორიტარი კანდიდატების ჩამონათვალი)
- მერის არჩევნებისთვის (მერობის კანდიდატების ჩამონათვალი)

*თითოეულ საარჩევნო ბიულეტენში თქვენ უნდა შემოხაზოთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი*

კენჭისყრა იმართება 08.00 საათიდან 20.00 საათამდე

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა

**თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება**

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი

გაიკეთეთ მარკირება

**მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება**

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენები

კენჭისყრის კაბინაში თითოეულ საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა

**თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი**

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ მასში სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

**კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი**

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# ვმუშაობთ შენთვის!

# უშედეგო ბრძოლა მავნებელთან და მოსახლეობა შემოსავლის გარეშე

**აზიური ფაროსანა, იგივე აზიური ბაღლინჯო, მავნებელია, რის გამოც სამეგრელოსა და გურიაში მრავალი ოჯახი თხილის, სიმინდის და ბოსტნეულის მოსავლის გარეშე დარჩა. საფრთხე ციტრუსოვან კულტურებსაც ემუქრება. მხოლოდ თხილის დაზიანებისგან მიყენებული ზარალი, უხეში გათვლებით, 60 მილიონ ლარს აღემატება. მთავრობის სოფლის მეურნეობის გუნდში ვითარება საგანგაშოდ შეაფასეს და მასთან ბრძოლაში ავიაციაც კი ჩართეს. სურსათის უვნებლობის სააგენტოს ცნობით, ავიაციის მეშვეობით სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში 20 ათასამდე ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მასივი დამუშავდება. მთლიანობაში, ამ დროისთვის უკვე 82 ათასი ჰექტარი თხილის ფართობია შეწამლული. აზიური ფაროსანა ამ დროისთვის მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, თუმცა, მისი ქართლსა და კახეთში გავრცელების საფრთხეც არსებობს.**

სამეგრელოს მცხოვრებლები ამბობენ, რომ მათ ფაროსანასთან ბრძოლისთვის ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ მავნებელს საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდნენ. მოსახლეობა ზარალის დათვლასა და კომპენსაციას ითხოვს. ზუგდიდში გამართულ საპროტესტო აქციაზე შეკრებილმა დაზარალებულებმა ისიც თქვეს, რომ თუ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სამეგრელოში თვითმმართველობის არჩევნებს ჩაშლიან.

“ევროპული საქართველოს” ზუგდიდის მერობის კანდიდატი და საპარლამენტო უმცირესობის წევრი, დეპუტატი ლელა ქებურია ამბობს, რომ კომპენსაციის მოთხოვნა ლეგიტიმურია, რადგან ფაროსანას წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები სათანადო არ იყო.

“მიუხედავად იმისა, რომ ვეთანხმები გარემოს დაცვის სამინისტროსაც და სპეციალისტებსაც, რომ ამ მავნებელთან ბრძოლა რთულია, ფაქტია, რომ ის ღონისძიებები, რაც გატარდა, არ არის ეფექტიანი. სამეგრელოში ფაროსანა არ შემცირებულა, ზარალი კი მაქსიმალურია. ხელისუფლების ბრალეულობა არის თუ არ არის, ამაზე მსჯელობა უკვე დაგვიანებულია, ახლა მთავარია იმ ადამიანებს ვუშველოთ, ვინც დაზარალდა. აქ არ ვსაუბრობთ იმაზე, რომ მოსავალი შემცირდა, არა, ის მთლიანად განადგურდა, თხილის გაყიდვიდან მიღებული თანხა ამ ხალხისთვის ერთადერთი შემოსავალი იყო. როცა ოჯახს მთელი წლის ბიუჯეტი ამ შემოსავალზე აქვს გათვლილი, გამოდის, რომ ამ წელს ამ ადამიანებს შიმშილისთვის ვწირავთ. ამიტომ, ვითხოვთ კომპენსაციას. ვიცი, რომ სუბსიდირებისა და კომპენსაციის სახელმწიფოსთვის მოთხოვნა სწორი არ არის, მაგრამ ამ ეტაპზე მივიჩნევ, რომ ეს ლეგიტიმური მოთხოვნაა”, - ამბობს ქებურია.

### რას აზიანებს და როგორ ვრცელდება აზიური ფაროსანა

აზიური ფაროსანა მავნებელი მწერია, რომელიც 300-მდე სახეობას ანადგურებს, როგორც თხილს, ასევე სხვა თესლოვან და კურკოვან ხეხილს, კენკრას, ბოსტნეულ კულტურებს. განსაკუთრებულ ზიანს ატამს, ვაშლს, მსხალს, ჟოლოს, პომიდორს, წიწაკას, მზესუმზირას და სიმინდს აყენებს.

მწერები საქართველოში პირველად 2015 წელს გამოჩნდნენ და წელს გავრცელების უწინდელზე გაცილებით დიდი მასშტაბი შეიძინეს. მავნებელი სწრაფად მრავლდება - 1 მწერი დაახლოებით 200 კვერცხს დებს. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ზამთრის ძილიდან გამოსული აზიური ფაროსანა აპრილის ბოლოდან გამრავლებას იწყებს. 4-5 დღეში მოწითალო მატლები ჩნდებიან, მალევე კი 12-17 მილიმეტრის სიგრძის განიერ, ყავისფერ მავნებლებად იქცევიან.

მავნებელი ფოთლის, ყლორტისა და ნაყოფის წვენით იკვებება. ძლიერი ხორთუმის მეშვეობით ხვრეტს ახალშემოსული თხილის ნაჭუჭს, ათხელებს ნაყოფის შიგთავსს, წოვს და მასში ლპობად ლაქებს წარმოქმნის. ფაროსანა გადასაზამთრებლად საცხოვრებელ ბინებში შედის. ძვრება ნაპრალებში, სხვენზე, კარებისა და ფანჯრის ღრიჭოებში; ასევე ბაღებსა და ტყეში ჩამოცვენილი ფოთლების სქელი ფენის ქვეშ და ხეების ფუღროებში. იძინებს აპრილამდე.

საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აგრო კონსულტანტი, დემეტრე ლიპარტია ამბობს, რომ აზიური ფაროსანა, საქართველოში, სავარაუდოდ, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ შემოვიდა. სოჭში ის, სავარაუდოდ ოლიმპიური ქალაქის მშენებლობისას აზიიდან შეტანილ მცენარეებს შეჰყვა, რის შემდეგაც მავნებელი ჯერ აფხაზეთში, შემდეგ კი სამეგრელოში გამრავლდა. ლიპარტიას თქმით, საქართველოს ზღვისპირეთსა და აზიის რამდენიმე ქვეყანაში ერთნაირი, სუბტროპიკული კლიმატია, რაც მავნებლის გამრავლებას ხელს უწყობს.

### როგორ ებრძვის მავნებელს მოსახლეობა

გურიასა და სამეგრელოში ფართობები სურსათის ეროვნული სააგენტოს და ადგილობრივი თვითმმართველობების დახმარებით ერთხელ შეიწამლა. მოსახლეობა მავნებელს საკუთარი ძალებითაც ებრძვის, თუმცა, უშედეგოდ. მოსახლეობის ნაწილი, რომელთათვისაც თხილი შემოსავლის ერთადერთი წყარო იყო, მოსავლის გარეშე დარჩა.

ზუგდიდის სოფელ კახათში მცხოვრები ირაკლი კაკულია ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ ცდა არ დააკლო, მაგრამ მოსავალი მაინც გაუნადგურდა. კაკულიამ წინა წლებში 7-8 ტონა თხილი აიღო, წელს კი მხოლოდ 200 კილოს შეგროვება შეძლო.

“ერთხელ შეწამლეს, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ღამით აივანზე ვანთებ შუქს, კედლებზე წამალი მაქვს წასმული. წამალი მწერს კლავს. 1 შეწამლა 10 დღე მოქმედებს. აქ ყველას ვუთხარით, რომ ასე მოიქცნენ. ბევრი აკეთებს კიდეც. არ არის ცუდი ხერხი, მაგრამ 1 ლიტრი 70 ლარი ღირს. პრეპარატის კი არა, საჭმლის ფული ჭირს. მე 3000 ლარი დავხარჯე შეწამვლაზე, თხილის გაყიდვით კი 500 ლარიც ვერ ავიღე. წამლობა შველის სოკოვან დაავადებებს და ფაროსანასაც, მაგრამ ძალიან ბევრჯერ უნდა შეიწამლოს და ამას მოსახლეობა ვერ ახერხებს. ოჯახები, რომლებიც მხოლოდ თხილზე იყვნენ დამოკიდებული, დღეს უსახსროდ დარჩნენ. ამბობენ, სკოლებში ვერ გავუშვებთ ბავშვებსო. 50 პროცენტს საერთოდ არ აუღია მოსავალი. ვინც აიღო, 50 თეთრად, მაქსიმუმ ლარად ჩააბარა. თქვენ წარმოიდგინეთ, დამხმარეებს მისცეს თანხა, რომ შეეგროვებინათ და თხილი საერთოდ ვერ ჩააბარეს. ხილი და სიმინდიც გაანადგურა. წიწაკა, პომიდორი, კიტრი, აბსოლუტურად ყველაფერი”, - ამბობს ირაკლი კაკულია.

ნინია პაჭკორია, რომელსაც მეურნეობა ხობის რაიონის სოფელ პირველ მაისში აქვს, ასევე გვიყვება, რომ მისი მოსავალიც სრულიად განადგურდა.

“ერთია, რომ მე ჩემით ვწამლავ პატარა ტერიტორიას, მაგრამ საფრთხე სულ არის. როდემდე უნდა ვწამლო ყოველ დღე. თან, მთლიან ტერიტორიასაც ვერ ვერევი. ზოგადად ტერიტორია ძალიან დიდია და მთლიანად ვერტმფრენის გარეშე ვერც ვერავინ შეწამლავს. წარმოიდგინე, ტყე არის შესაწამლი და ხელით ვერაფერს გააკეთებ. წელს ჩვენი თხილი არაფრად ვარგა, გასაყიდად კი არა, პირს ვერ დააკარებ”, - ამბობს დაზარალებული.

### როგორია აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება

დემეტრე ლიპარტიას დამაიმედებელი პროგნოზი არ აქვს. მისი თქმით, ქვეყანას მავნებლის სწრაფად დამარცხება გაუჭირდება.

“ამერიკაში 10 წლიანი ბრძოლის შემდეგ მისი პოპულაცია მხოლოდ 30-დან 50 პროცენტამდე შემცირდა. ილუზია, რომ ჩვენი მთავრობის რესურსით ამ მავნებელს ერთ წელიწადში მოვერეოდით, არ უნდა გვქონოდა”, - ამბობს ლიპარტია

### როგორ უნდა გაგრძელდეს ფაროსანასთან ბრძოლა

დემეტრე ლიპარტიას თქმით, მავნებელთან ბრძოლაში მოსახლეობის კიდევ უფრო გააქტიურება აუცილებელია. ის ფერმერებს კონკრეტულ რეკომენდაციებსაც აძლევს. ლიპარტია ამბობს, რომ უმჯობესია ფერმერი არა ფაროსანას განადგურებაზე, არამედ მოსავლის დაცვაზე იყოს ორიენტირებული და ამისთვის ბაღები მინიმუმ სამჯერ შეწამლოს.

“თუ წვიმაა, წამალი ტოქსიკურობას 2 კვირა ინარჩუნებს, მზიან ამინდებში კი 25 დღის განმავლობაში. თუ საკუთარი ფართობი შეწამლეთ, მაგრამ მეზობელმა ვერა, მათგანაც რომ გადმოვიდეს მავნებელი, მოსავალს ზიანს ვერ მიაყენებს, პირიქით, განადგურდება. ორიენტირი მოსავლის დაცვისკენ უნდა ავიღოთ.

წამლობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში უფრო დიდია, ვიდრე სამეგრელოში. მაგალითად, კახელი ფერმერები ვაშლა ატამს, რომელიც თხილზე გაცილებით იაფია, რამდენჯერმე წამლავენ. თხილის შეწამვლაც

მინიმუმ სამჯერ არის საჭირო. სახელმწიფო შეეცდება ფაროსანა აღმოფხვრას, მაგრამ ყველას ვურჩევ, არავინ იყოს მხოლოდ სახელმწიფოს იმედზე”, - ამბობს ლიპარტია.

### შეწამვლის წესები

სურსათის ეროვნული სააგენტო ფერმერებისთვის გასცემს რეკომენდაციებს, როგორ უნდა შეიწამლოს ფართობები:

✓ პესტიციდების გამოყენებისას აუცილებელია დაცვის ინდივიდუალური საშუალებები – სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი, რესპირატორი, აირწინაღი, დამცავი სათვალე და ხელთათმანი. შესხურებისას აკრძალულია თამბაქოს მოწევა, საკვების მიღება. პესტიციდების გამოყენების წინ დახურეთ სასმელი წყლის ჭები, დაამწყვდიეთ ფრინველი, საქონელი, შეზღუდეთ ფუტკრის ფრენა.

✓ შეწამლული პროდუქტის საკვებად გამოყენება დაუშვებელია წამლობიდან 18-20 დღის განმავლობაში.

✓ წამლობა ტარდება უქარო ამინდში დილას ან საღამოს, ან ღრუბლიან ამინდში შუადღის საათებში.

✓ არ შეიძლება ქიმიური პრეპარატების გამოყენება ღია წყალსაცავებისა და წყალსატევების სიახლოვეს.

tabula.ge

P.S.
**მთავარი რედაქტორი:** ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵇ ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
**Q — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.**
**გამომცემელი** — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**